

წარმოგიდგენთ შპს „აისიმედ“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი 405117788) 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მსს ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად

შპს „აისიმედ“-ის
დირექტორი
ჩინგიზ ალიშვილი



შპს „აისიმედ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ციფრული ფორმები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს „აისიმედ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	2021	2020	2019
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	29565	47645	160228
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1968886	3165886	1488516
გადახდილი ავანსები	22420	53842	51062
მარაგები	24562	606272	2730058
სულ მოკლევადიანი აქტივები		3873645	4429864
სხვა არამატერიალური აქტივები			1380
ძირითადი საშუალებები	76395	91398	80174
სულ გრძელვადიანი აქტივები	76395	91398	81554
სულ აქტივები	2121828	3965043	4511418
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6700521	6670942	6243243
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		432	46691
საგადასახადო ვალდებულებები	52739		25242
სხვა ვალდებულებები		35194	
სულ ვალდებულებები		6706568	6315176
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-4631432	-2741525	-1803758
სულ საკუთარი კაპიტალი		-2741525	-1803758
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2121828	3965043	4511418

შპს „აისიმედ“-ის დირექტორი
ჩინგიზ ალიევ



შპს „აისიმედ“

ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	2021	2020	2019
ნეტო ამონაგები	913074	4140650	3836093
გაყიდვების თვითღირებულება	-127443	-3087341	-2595350
საერთო მოგება	785631	1053309	1240743
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1752187	-1511372	-1659367
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-2449		-3165
იჯარის ხარჯი	-68510	-95830	-49796
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-314976	-136975	-151036
სულ საოპერაციო ხარჯები	-2138122	-1744177	-1863364
საოპერაციო მოგება	-1352491	-690868	-622621
სულ მოგება დაბეგვრამდე	-1352491	-690868	-622621
მოგების გადასახადის ხარჯი		-1130	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1352491	-691998	-622621

შპს „აისიმედ“-ის დირექტორი

ჩინგიზ ალიევ



შპს „აისიმედ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
31 დეკემბერი 2020		-2,741,525	-	-2,741,525
გაცემული დივიდენდები				
კაპიტალის სხვა ცვლილება		-1,352,491		-1,352,491
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		-537,416		-537,416
31 დეკემბერი 2021		-4,631,432		-4,631,432

შპს „აისიმედ“-ის დირექტორი
ჩინგიზ ალიევ



შპს „აისიმედ“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-18080	-112583
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-18,080	-112583
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	47645	160228
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	29565	47645

შპს „აისიმედ“-ის დირექტორი

ჩინგიზ ალიევ



1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

შპს „აისიმედ“-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2015 წლის 22 სექტემბერს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 405117788; საზოგადოების დამფუძნებელია: P3393408 ნოფალ შაფიევ, აზერბაიჯანი, 100%; საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ცაგარელის ქ., N66, საზოგადოების დირექტორია: 01201134883, ჩინგიზ ალიევ, აზერბაიჯანი; კომპანია ეწეოდა საბითუმო ვაჭრობას ფარმაცევტული საქონლით, 2021 წლიდან შეიცვალა შპს-ს ძირითადი საქმიანობა, ამჟამად კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს სხვა კომპანიებისათვის მარკეტინგული მომსახურების გაწევა.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1 ანგარიშების მომზადების და წარგენის საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობამ განიხილა კორონა ვირუსის - Covid 19-ის გავლენა კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე. საქმიანობიდან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით გავლენას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

2.3 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში, რომელიც წარმოადგებს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორციელების თარიღით არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

2.4 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

2.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადიამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.7 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, თვითღირებულებას - დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

2.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამებს, ლიცენზიებს.

2.9 სავაჭრო ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.10 სესხი

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯით. სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხები გადაფასდება წლის ბოლოს,

2.11 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

2.12 ამონაგები

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.13 ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯის აღიარება ხდება გაწევისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

2.14 სახელფასო განაცემი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელის დარცხვა ხდება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ

ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში ხდება მათი დაანგარიშება და შესაბამის პერიოდში დარიცხვა;

2.15 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.16 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა .

2.17 ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ ,როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდის შესაბამისად.

2.18 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გატანის სანაგარიშგებო თვეში. საქრთველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) .

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები	29565	47645
სულ	29565	47645

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები	1,968,886	3,165,886
სულ	1,968,886	3,165,886

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	24,562	566,558
სხვა		39,714
სულ	24,562	606,272

2.7 არამატერიალური აქტივები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
არამატერიალური აქტივები	0	0
სულ	0	0

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	6,700,521	6,670,942
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	432
საგადასახადო ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	52,739	35,194
სულ	6,753,260	6,706,568

2.11 ამონაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	913,074	4,140,650
სულ	913,074	4,140,650

2.12 ხარჯი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
რპთ	127,443	3,087,341
დასაქმებულთა ანაზღაურება	1,752,187	1,511,372
ცვეთა და ამორტიზაცია	2,449	
იჯარის ხარჯი	68,510	95,830
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	314,976	136,975
სულ	2,265,565	4,831,518

3.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მომხდარი მოვლენები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

3.2 ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომი თარიღისთვის მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს მნიშვნელობას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 28 სექტემბერს;

შპს „აისიმედ“-ის დირექტორი

ჩინგიზ ალიევ

